


# საქართველოს რესპუბლიკა

**გამოცემის მე-100 წელი**



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინე ბეჭდუნი სიფყაა, ცყდილებით და ჭბებით ბუბ-თის გაცანა ყველა უჯანდისბბაჯ უსამბაგლუსია.

სამშაბათი, 1 მაისი. 2018 წ. №88 (8489), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## საქართველოს თანამედროვე და კლიერი უნიარაღებული კალები ჰყავს!

### ყველა ნიჭზე კლიერი ქვეყნის დასვვის ნიჭი!

## საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 0,1 %-ით გაიზარდა

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 მლნ 729,6 ათასი კაცი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 0,1 პროცენტით გაიზარდა.

მათივე ინფორმაციით, 2017 წელს აღირიცხება დადებითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და 5 471 ადამიანი შეადგინა. „საქსტატის“ ცნობით, წინა წელთან შედარებით, მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0,3 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 1 მლნ 791,6 ათასი კაცი, ხოლო ქალების წილი 0,1 პროცენტით შემცირდა და 1 მლნ 938,1 ათასი შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.

## იტალიაში ქურდობის მსდელობისას საქართველოს მოქალაქე დააკავეს!

იტალიაში, მილანთან ახლოს ბინის ქურდობის მსდელობისას ქვეყანაში არალეგალურად მყოფი 31 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე იმ ბინის გაქურდვას ცდილობდა, რომელშიც არავინ იმყოფებოდა. თვითმხილველებმა სახლიდან უცნაური ხმები გაიგეს, რის შემდეგაც პოლიცია გამოიძეს. დამნაშავემ მიმალვა სცადა, თუმცა სამართალდამცავებმა მისი დაკავება შეძლეს. პოლიცია კიდევ ერთ საქართველოს მოქალაქეს, 27 წლის მამაკაცს ეძებს, რომელმაც გაქცევა მოახერხა.

## აურზაური „პართულ ბენეალოგიურ საზოგადოებაში“

## კრიმინალის დონე გაიზარდა!

NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხული მოსახლეობის 63% მიიჩნევს, რომ 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კრიმინალის დონე გაიზარდა. გამოკითხულთა 24% აცხადებს, რომ კრიმინალის დონე იგივე დარჩა, 9% მიიჩნევს, რომ კრიმინალის დონე არ შეცვლილა, ხოლო 4% კითხვაზე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კრიმინალის დონე როგორ შეიცვალა, აცხადებს, რომ არ იცის.

ჩატარდა 20 მარტი-4 აპრილის პერიოდში, 194 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე. NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. გამოკითხვას CRRC-საქართველო ატარებს.

## ვის არ გაუზვიებენ საქართველოდან და ვის არ უეუზვიებენ ეპროკაში?

## „სირობა“ ამსტერდამში!

ქართველომ საზღვარგარეთ გაიკრიფა, ზოგი სამოყვროდ, ზოგიც – სამბროდ! სწორედ ამ დროს შორეულ ჰოლანდიაში, ცოლენუს მეფარე-ბული სირი არავითარ უკეთურზე უკან არ იხევს და ერთდროულად დასდევს ორ კურდღელს, რათა „პირველ კაცად“ დაუბრუნდეს ან უკრაინას, ან მის მიერვე გაუბედურებულ საქართველოს.

ამსტერდამში ვით სირები, შეიკრიბნენ ყვარყვარენი, სულით გაკოტრებულები, მაგნად მონაყანყალეები. ექვსის ნაცვლად სამ მილიონს ვინც არ თვლიდა ერის მოსრვად, იმას აღარ მოეწონა ხელმეორედ მიძოს მოსვლა, ვისაც უყვარს საქართველო და „სამების“ მაღლი მოსავს, ვინც ქვეყანას ააცილა „ცოცხოსანთა“ ჭუჭყით მოსვრა. ...როცა წაჭექ-უკუჭექი უზნეობად მორალდება და ათროლოებს „მონადირეს“ ორი სკამის მოლანდება, თუ მყისვე ვერ გაარკვია, „კურდღლის“ გვერდით რომ ლანდია, პანჩურისგან ვერ დაიყავს სიდდერი და ჰოლანდია!

ალექსანდრე შენგელია

**წყალნაღებულნი ხავსს  
ეჭიდებინან!**

# საქართველოს თანამედროვე და ძლიერი შეიარაღებული ძალები უნდა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის განცხადებით, ქართული სახელმწიფოს ძლიერება დიდწილად არის დამოკიდებული ჯარის ძლიერებაზე, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელსაც პარტნიორები საქართველოს უნივენ.

ამის შესახებ პრემიერმა შეიარაღებული ძალების დღესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაუშინ განაცხადა, რომელიც ვაზიანში გაიმართა.

„სრულიდ საქართველოს ვულკანურ საქართველოს შეიარაღებული ძალების დღესად“

ვულკანურ შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას, ყველა ჯარისკაცს და მეთაურს!

27 წლის წინ, დღევანდელ დღეს, დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი პირველი ჯარისკაცები გაიწვია შეიარაღებულ ძალებში. ქართულმა ჯარმა სწორედ ამ დღიდან გააგრძელა ის ტრადიცია, რომელსაც 1918 წელს, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში ჩაეყარა საფუძველი.

მაშინ ეს იყო ქართული ჯარის ხანმოკლე, თუმცა გმირული ისტორია, რომლითაც დღესაც ვამაყობთ. ისევე, როგორც 100 წლის წინ, ქართველ ჯარისკაცებს ქვეყნის ერთიანობისთვის არაერთი ბრძოლის გადატანა მოუწიათ. სამშობლოს ერთგულება და მისთვის თავგანწირვა იყო ყოველთვის ის, რაც ჩვენს ჯარისკაცებს გმირებად აქცევდა. პატივი მინდა მივავო საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული ჯარისკაცების სსოვნას.

მინდა, მაღლობა გადაგიხადოთ ყველას, საქართველოს შეიარაღებული ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს, ვინც პირნათლად იცავთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. თქვენ ქართველი მებრძოლის მტკიცე და გაუტყეხელი სულით ერთგულად ემსახურებით და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს.

დღევანდელ დღეს ვულკანურ საერთაშორისო სამშვიდობო



მისიების მონაწილე, მსოფლიოში მშვიდობისთვის მებრძოლ ჩვენს სამხედროებს, რომლებმაც ქართველი მეომრის სახელი თავდადებისა და გაუტყეხლობის სიმბოლოდ აქციეს.

დღეს ჩვენ ვქმნით თანამედროვე და ძლიერ შეიარაღებულ ძალებს თანამედროვე სახელმწიფოსთვის.

ქართული სახელმწიფოს ძლიერება დიდწილად არის დამოკიდებული ჯარის ძლიერებაზე. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენი პარტნიორები გვიწვენ. დღეს წარმოდგენილია ჩვენი არაერთი პარტნიორის დროშა აქ, ამ მოედანზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშ-

ნო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება. ამერიკის გვერდში დგომა, ნამდვილად, უპრეცედენტოა. აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

თავდაცვის სფეროში აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობები მდგრადი და საიმედო თავდაცვის შესაძლებლობების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ღრმავდება და დინამიკური ხდება. ამის ნათელი დასტურია 2016 წელს უმაღლეს

დონეზე ხელმოწერილი მემორანდუმი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ; ასევე უსაფრთხოების სფეროში სამშლიანი თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულება და ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) შესახებ.

დღეს აქ წარმოდგენილია პირველი ქართული ქვედანაყოფი, რომელიც სწორედ GDRP-ის პროგრამის ფარგლებში მაისიდან დაიწყებს წვრთნებს. ეს გახლავთ სამშლიანი პროგრამა, რომელიც წელს დაიწყება და ჯამში 9 სამანევრო ბატალიონის განვრთნას ითვალისწინებს.

## ნატოში განუკარგა ჩვენი ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი გახლავთ და გამოხატავს საქართველოს მოქალაქეების უწყვეტ ნებას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა თბილისში ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, ნატოსთან აღიარებულია ის რეფორმები, რომელიც საქართველომ გაატარა, როგორც შეიარაღებული ძალების, ასევე თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზაციის კუთხით.

„ასეთი დინამიკური და დატვირთული ჩვენი ურთიერთობები აღიანსთან, როგორც ბოლო წლებში იყო და განსაკუთრებით გასულ წელს არასოდეს ყოფილა. ნატოს მხრიდან მკაცრად არის აღიარებული, ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია დემოკრატიული რეფორმების შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზაციის კუთხით. ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილი“, — განაცხადა პრემიერმა.

## რატომ იზრდება ქვეყანაში ანტიდასავლური პროპაგანდა?!

სულ უფრო თვალნათელი ხდება, რომ, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო იზრდება ქვეყანაში ანტიდასავლური პროპაგანდა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი საქართველოსა და ალიანსის მხრიდან სწორი და დროული მოქმედება.

„გუშინ საღამოს ჩვენ გვქონდა სანგრძლივი შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან, ბატონ ვეს მიტჩელთან და მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მას შემდეგ, რაც მოვისმინე მისი მკაფიო მხარდაჭერი მოსაზრებები, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ნატოში გაწევრების კუთხით. მინდა, მაღლობა გადაგიხადოთ. დღეს თქვენი აქ ყოფნა, ისევე, როგორც ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის ყოფნა საქართველოში, არის მკაფიო დადასტურება ერთი მხრივ აშშ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერისა საქართველოს საგარეო კურსის მიმართ და ასევე, რა თქმა უნდა, ნატოს მხარდაჭერისა და მის მიერ საქართველოს პროგრესისა და საქართველოს ევროატლანტიკური კურსის აღიარებისა, რაც საქარ-

თველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სულ უფრო თვალნათელი ხდება, რომ, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო იზრდება ქვეყანაში ანტიდასავლური პროპაგანდა. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი ჩვენი და ალიანსის მხრიდან სწორი და დროული მოქმედება.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, სათანადოდ შევავსოთ და ვუპასუხოთ ამგვარ საფრთხეებს და პარტნიორებთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ მათთან გამკლავებაზე. ამ მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო უწყებებში უკვე განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და შესაბამისი ფუნქციური რგოლების გაძლიერება, რითაც მსგავს საფრთხეებზე რეაგირება კიდევ უფრო კოორდინირებული გახდა. უკვე რამდენიმე თვეა, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს სამთავრობო სტრუქტურების სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტების უახლესი სტანდარტებით გადამზადებას, რაც ახლო მომავალში, ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედებას უფრო ეფექტიანს გახდის“, — განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

## ჩვენ სივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი ვართ



თმძნე, სამხედროები ასრულებთ ყველაზე ძლიერ და საპატიო ვალდებულებას, რასაც სამშობლოს დაცვის ვალდებულება ჰქვია, — ასე მიმართა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

როგორც იზორიამ ვაზიანში, IV მექანიზებულ ბრიგადაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მიუხედავად გამოწვევებისა, მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენ მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ უწყვეტი ნება, რომ ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი. „მინდა გავიხსენო პირველი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც 27 წლის წინ ეს ვალდებულება აიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში. ამ წლების განმავლობაში ქართველმა ჯარისკაცმა, ოფიცერმა, სერჟანტმა აჩვენა თუ არის სიმამაცე და აჩვენა მთელ მსოფლიოს თავისუფლების დაცვის მტკიცე ნება. წელს, როდესაც 10 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომიდან, ჩვენ მტკიცედ ვდგავართ იმ გზაზე რასაც ჰქვია ჩვენი ქვეყნის თავისუფალ საზოგადოებათა სამყაროში ინტეგრირება, რასაც ჰქვია

ნატოში განუკარგა. მიუხედავად გამოწვევებისა, მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენ მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ უწყვეტი ნება, რომ ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი და ვაჩვენებთ თუ როგორ შეგვიძლია ვიყოთ ღირსეული პარტნიორები ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეებისთვის. თქვენთან ერთად კიდევ უფრო ვამყარებთ ჩვენი ქვეყნის დაცვის ვალდებულებას, რამაც მთლიანობაში უნდა უზრუნველყოს ჩვენი შეიარაღებული ძალების ისეთი სიძლიერე, რომ მტერს არ გაუჩნდეს თავდასხმის სურვილი. ჩვენი სიძლიერე არის საფრთხის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება და სწორად ამ ვალდებულებების თანმიმდევრულად შესრულებას ემსახურება ის რეფორმები, რომელიც უკავშირდება თავდაცვითი სისტემების მოდერნიზებას“, — განაცხადა იზორიამ.

## რუსეთის სივილიზებული სამყაროს ჩვენთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია!

თბილისში ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმში დაიწყო. ღონისძიება საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გახსნა.

ღონისძიების მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა. გიორგი მარგველაშვილმა იმ გამოწვევაზე ისაუბრა, რომელიც რუსეთის მხრიდან მომდინარეობს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია ნატოს მხრიდან აღმოსავლეთ მიმართულებების გაძლიერება, როცა დასავლეთი ცივი ომის ინციდენტის ფაზაში იმყოფება.

„გასაზარებელია ის რთული გარემოება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით სწორედ ამ ახალი ფაზის წინ, ცივი ომის ინიცირების მცდელობისა. სწორედ ეს პოლიტიკა იქნა დეკლარირებული რუსეთის მიერ და ეს პოლიტიკა ჩვენთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია. ჩვენ მივსვალავთ იმ სულისკვეთებას, რომელიც არსებობს ნატოში ამ პოლიტიკის საპირისპიროდ თავისი აღმოსავლეთ მიმართულების გაძლიერებისა და გამოთიანებისკენ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.







მოვლენის კვალზე

სადაც ირხუბეს - იქვე შერიგდნენ

რა წესებით აწყობს თავის მუშაობას თბილისის მერი კახი კალაძე

დედაბაბუების დიდი დიდი რაიონში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე საფეხურთო მოედანზე მომხდარ ინციდენტს დიდი ხნაური მოწყვება...

პოდა, შუა თამაშში მოედანზე მოულოდნელად 40-50 წლის ასაკის მამაკაც-თა ჯგუფი გამოჩნდა...

როცა ფეხბურთს საზოგადოებრივ მოედანზე ვითარებები, ჩვენთან ქართველი მამაკაცი მოვიდა და სტადიონის დატოვება მოგვთხოვა...

კონფლიქტის ადგილზე პოლიცია მივიდა, მაგრამ მომხდარში დამანაშავენი ყველაფერს უარყოფდნენ და აცხადებდნენ...

ბავშვებმა მერელა მოირბინეს და სერის უცქერდნენ. ჩვენ ვეუბნებოდით - თუკი ბავშვებს თამაში უყდათ, გვითხრან და წავალთ...



ტი ბუნჯამინ თიდი. ამასვე ადასტურებს ზოგიერთი მეზობელიც. ამ ამბის თვითმხილველები ფეხბურთში იტყობინებიან...

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარს ოპერატიულად გამოეხმაურა...

მაგრამ ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს ერთობ მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა, რის თაობაზეც გვინდა მოგიხროთ და არსებითად რისთვისაც იწერება...

სახლეობას შორის ფეხბურთში ამხანაგური შეხვედრის ჩატარების წინადადება წამოაყენა. ამასთან, კალაძემ არა მარტო „დაპირისპირებულ“ მხარეთა ფეხბურთის მოედანზე შეხვედრის იდეა წამოაყენა...

ასევე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ წარმოშობილი უხერხული მდგომარეობიდან გამოსავალიისთვის თბილისის მერის ამ მცდელობას რატომღაც მხარი არ აუბა ოპოზიციური სექტორის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია...

პოდა, მატჩიც შედგა. მის სანახავად არა მარტო ბელიაშვილის ქუჩის მცხოვრებლები, დიდი დიდი მისიკორაიონის სხვა ქუჩების წარმომადგენლებიც მივიდნენ...

კალაძის, პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის, თბილისის საკრებულოს დეპუტატებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, წარსულში ასევე ცნობილი ფეხბურთელის ლევან კობიაშვილის თამაშს აკვირდებოდნენ...

გაისმა ფინალური სასტვენის ხმა, მაგრამ მატჩის მონაწილენი დაშლას არ ჩქარობდნენ. „დიდად მოხარული ვარ, რომ სპორტს, ფეხბურთს ადამიანების გაერთიანება შეუძლია. რა თქმა უნდა, იმან, რაც აქ ერთი კვირის წინათ მოხდა, ცუდი ნაღველი დაგვიტოვა, მაგრამ ჩვენი ქალაქი, ჩვენი ქვეყანა მუდამ ტოლერანტობით იყო გამოჩენილი და დღეს ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა“...

განვლილი მატჩის ცალკეულ ეპიზოდებს მოთამაშეები კიდევ დიდხანს არჩვენდნენ, გასახდელში ჩასულთა შორის კი შეხმატკბილებულად იმღერეს პოპულარული „თბილისო“. თანაც, საფეხურთო მატჩის შავკანიანი სტუდენტები, რომლებმაც, როგორც ჩანს, უკვე დაუფლენ ქართულ ენას, სიმღერის ტექსტს განსაკუთრებულად მონდომებით გამოთქვამდნენ...

ამ ორთაბრძოლამ მრავალრიცხოვანი გამომხაურება პოვა სოციალურ ქსელებში. აი, კერძოდ რა დანერა მის შესახებ პარლამენტარმა ბექა ოდიშარია: „ბელიაშვილის ქუჩაზე შეხვედრამ ტექმარიტად თბილისური სულისკვეთებით ჩაიარა... პირადად ჩემში მან მრავალი დადებითი ემოცია გამოიწვია და მათ თუ გამოვხატავ, ვიტყვი: კახი კალაძის წინადადება მე არა მარტო ოფიციალური პირის - ქალაქის თავის - ინიციატივად, არამედ დიდი და მეგობრული ოჯახის თავკაცის სურვილად აღვიქვი, რომლისთვის სულაც არ არის ერთი და იგივე, თუ როგორ წარმართება მასში უართიერთობები და რომელმაც არა მარტო იცის ამ ქალაქის ყველა დანერული თუ დაუნერული კანონი, არამედ მისდევს კიდევ მათ. მადლობა მას ამ დამოკიდებულებისთვის!“

ვალიმ ანასტასიალი, გამთქვე „ვეტერნიტივისის“ მთავარი რედაქტორი



მეგობრების ხელფასი და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განსახლება

თბილისის სატრანსპორტო კომპანია მეტროს მეგანქანების მოთხოვნებს ოფიციალური განცხადებით ეხმაურება და მეგანქანების მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

კომპანია მეგანქანების ხელფასებსაც ასაჯაროვეს.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ: „დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013“ წევრებმა მიმდინარე წლის 2 აპრილს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წაუყენეს მოთხოვნა, მეტროს მეგანქანებისთვის სახელფასო განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ კავშირის წევრები ითხოვენ საათობრივი ტარიფის გაზრდას, რაც სახელფასო განაკვეთის 45%-ით ზრდას გულისხმობს.“

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგინებ მეტროს მეგანქანების შემოსავლების ზრდის დინამიკას

თან დაკავშირებით რომ, კომპანია არ განიხილავს დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფისთვის ანაზღაურების გაზრდას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას სხვა თანამშრომლებში.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულია 6300-მდე თანამშრომელი და მათი პირობების გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპანიისთვის.

ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები დასაქმებულთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

Table with 5 columns: Year, 2013, 2014, 2015, 2016, 2017. Rows for monthly and annual revenue.

სატრანსპორტო კომპანიამ საწყის ეტაპზევე აქტიურად დაიწყო მეგანქანების მოთხოვნების განხილვა. შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მედიატორის მონაწილეობით.



მოლაპარაკებების პროცესში სატრანსპორტო კომპანიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია იმას-

სომხეთ-საქართველოს საზღვარზე ხიდის მშენებლობა იწყება



საპარტიველოსა და სომხეთს შორის „მეგობრობის ხიდის“ პროექტირება-მშენებლობა იწყება. მშენებელი კომპანია გამოვლენილია და ამ ეტაპზე საშუალოდღეული კომპანიის შერჩევის პროცედურები მიმდინარეობს.

ახალი ხიდი, მდ. დებუდაზე, სადასლობა-გარატაშენის საკონტროლო-გამშენებელი პუნქტის ტერიტორიაზე აშენდება. „მეგობრობის ხიდის“ მშენებლობას, საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მხარდაჭერით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (E-

BRD) აფინანსებს. ხიდის მშენებლობისთვის EBRD-მა, საქართველოს 6 მილიონ ევრომდე გამოუყო.

სამუშაოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს. ერთობილივი ხიდის მშენებლობის პროექტი რეგიონში უნიკალურია, ხიდის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე იქნება, მეორე - სომხეთის. მხარებმა დაფინანსებაც გაიყვეს - კრედიტის 50%-ს სომხეთი გადაიხდის, დანარჩენ 50%-ს კი - საქართველო.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე, სადასლობა-გარატაშენის ხიდის მშენებლობის და დადების საკითხზე, EBRD-ის პროექტის ახალ ხელშეწყობას ანდრე მასიმოვიჩს შეხვდა და პროექტის დეტალები განიხილა.

ახალი ხიდი სომხეთიდან საქართველოში და საქართველოდან სომხეთის მიმართულებით მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელ დაკავშირებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო რეგონების.





ვაი, სირცხვილო!

თელ-აკვიზი - სავალალო შედეგით

წუკაბ ზვიდაური: ამოიღეთ ხმა, სანამ დროა და გოლომდე არ ჩაძირულა ძიუდოს ნაკრები

სწოთ ათეულ წელიწადზე მეტი მიიღია მას შემდეგ, რაც ქართველმა ძიუდოისტებმა საერთაშორისო სარბიელზე მოსინჯეს ტატამი. 1962 წელს შესანიშნავი ფა...

და აი, 26-28 აპრილს თელ-ავივიდან ტიტულოვანი სპორტსმენებით დაკომპლექტებული საქართველოს 9-კაციანი გუნდი შინ განზილებული დაბრუნდა...

ხელგურთი

ჩემპიონი 18 მაისს გააოკლინდება

საბარტმველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ფინიშს უახლოვდე-



ბა. ჩემპიონისა და პრიზიორთა ვინაობა ცნობილი ოთხი სტადიის შემდეგ გახდება. 10 ტურის შემდეგ 17-17 ქულით პირველ-მეორე ადგილებზე „ქარიშხალი“ და „მამული“ არიან.

ლოდ სამი ქულა მოიპოვეს და ახლა მესამე ადგილზე არიან. ჩემპიონობისთვის ბრძოლა მას გაუჭირდება, ბრინჯაოს მედელებისთვის კი წყალტუბოს „პრომეთესთან“ მოუწევს კონკურენცია...

ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის დასავლეთის ზონის ბოლო ტურში, რომელიც სენაკში გაიმართა, ფოთის „ოქროს ვერძი“ „სამტრედიას“ დაუზავდა. ხოლო „წყალტუბო“ „აჭარა“ დაამარცხა.

წყალტუბო - აჭარა 10:9. წყალტუბო: კინწურაშვილი, ჯიშკარიანი - 4, დარსაველიძე - 3, ფანცხავა - 1, ლაღაძე - 1, ჯიმშელიძე - 1, სეცური - 1.

რაზგი ჩვენი თაგაშია!

კვანძი მალე გაიხსნება

ძუთანისის „აია“ 13 მაისს 7-წლიანი პაუზის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს. მისი მეტოქე 6 მაისს გამოვლინდება, როცა წინასწარ ფინალში ერთმანეთს ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი გორის „ჯიქი“ და დედაქალაქის „ლოკომოტივი“ შეხვდებიან.

„ლოკომოტივი“ - „აია“ 15:20 (სტუმრებს სამი ლიდერი - ბაბუნაშვილი, მოდებაძე და მარალაძე აკლდათ), „ჯიქი“ - „ბათუმი“ 25:19.



სპორტი და ვისაც შესტივია გული დღევანდელ მდგომარეობაზე. შეიძლება დამაბრალონ, რომ მე ინტერესი მაქვს ფედერაციის, მაგრამ აქვე გავიმეორებ, არანაირი ინტერესი არ გამაჩნია, გარდა კეთილდღეობისა! მინდა ქართული ძიუდო ისე იყოს ადგილს დაუბრუნდეს, სადაც წლების წინ იყო!

იმედია, ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელიც ევროპის ჩემპიონატზე სავალალო გამოსვლის მიზეზებს გააცნობენ გულშემატკივრებს!



წინ, საქართველო!



არის ასეთი ნაკრები

ევროპის ასალგაზრდული ლიგის გამარჯვებული ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის განვრთნილი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები გახდა, რომელმაც თბილისში გამართული ოთხთა ფინალის გადამწყვეტი მატჩი უკანასკნელ წამზე მოუგო ლატვიურ „ვალმიერას“ 81:80.

დრამატული ბრძოლის ბედი ძირითადი დროის მიწურულს გადაწყდა, როცა დარბაიძემ სირენასთან ერთად ჩააგდო მხსნელი ბურთი, თანაც, „ოქროს“ ტოლფასი საჯარიმოს ტყორცნის უფლება მოიპოვა, რომელიც ზუსტად შეასრულა და მასპინძლებს ტიტული მოუპოვა.

სამწუხაროდ, სწორედ აღნიშნული საკონტროლო გასროლის სადარი გადანყვეტი-

ლება გახდა განსჯის საგანი და ბალტიისპირელთა აღწვოთების საბაბი, თუმცა, ქართველ მსაჯთა ბრიგადა (კუპატაძე, ბერეკაშვილი, მიქელაძე), შეუვალი აღმოჩნდა.

საბარტმველო: დარბაიძე - 21, ფევაძე - 18, ბულაშვილი - 15, მეცხვარიშვილი - 9, ლუნიძე - 7, კორსანტია - 6, ლოლიშვილი - 5 ქულა.

სიმბოლოური ნაკრები: ბულაშვილი, ბლიშინი (ბელარუსი), მარკოვსკი (პოლონეთი), ლიეპინსი (ლატვია), კორსანტია.

საუკეთესო მწვრთნელი: რობერტს ზეილი (ლატვია). ტურნირის საუკეთესო მოთამაშე: ვალტერს ლიეპინსი (ლატვია). ვიტალი ჯაფარიძე

ლამა

აპტობოლი... სამოგაპლოდ

ვიტალი დარსაძის თასი 15-წლამდელთა შორის მესამედ გათამაშდა, მაგრამ პრესტიჟული ჯილდო წაღვლსაღ სტუმრებს გადახანდა.

2016 - „ალკაბარი“; 2017 - კიევის „დინამო“; 2018 - „მსახიროლი“.

როცა საერთაშორისო ტურნირზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უპირველესად მის ავტორიტეტს უნდა მოვუფრთხილდეთ, საამისოდ კი ერთ-ერთი უმთავრესი ნიუანსი მსაჯობის საკითხის მოგვარებაა.

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებამოვლენები ჩვენი ლეგენდარული ფეხბურთელის მომავალ მემორიალებში, მაგრამ ამჯერად რომ, რბილად თუ ვიტყვით, მთლად პირნათლად ვერ გავართვით თავი სსოვნის ტურნირის საკადრის დონეზე გამძლოის საქმეს, სამწუხარო ფაქტია.

ლებსაც გამოეცხოთ, რადგან ჯერ მათ კარში სადავო პენალტი დაინიშნა, ხოლო მოგვიანებით არცთუ უეჭველმა ჯარიმებმა იმატა. ალბათ, ფორტუნას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ სამართალმა საბოლოოდ პური მინც ჭამა და ფინალი ესპანელთა დამსახურებული გამარჯვებით დაგვირგვინდა - 2:1.

და აი, მივადექით თემას, თუ სადაა ძალის თავი დამარხული. დიხს, სასკანდალო კოდი ორგანიზატორთა მიერ შემუშავებულ დებულებაშია ჩადებული, რომლის ძალითაც შეხვედრებს ქართველ მსაჯთა

ბრიგადები ემსახურებიან. მოგესხნებათ, ისინიც ადამიანები არიან, რომლებიც შეცდომებისგან დაზღვეულნი არ არიან და გარკვეული დოზით თანამემამულეთა მცირედით მხარდაჭერაც შეგვიძლია შევუნდოთ, მაგრამ როცა მათი ქმედებით ჩრდილი არამართო ერთ კონკრეტულ სპორტულ ასპარეზობას, არამედ მთლიანად ქვეყანას ადგება, პირში წყლის ჩაგუება და სირაქლემას პოზაში ჩადგომა არანაკლებ დანაშაულად მიგვაჩნია, მით უმეტეს - კეთილისმსურველთაგან, ვისთვისაც ძვირფასია ვიტალი დარსაძის ნათელი სსოვნა.

მონასტერი თავიდან ნახევარფინალში აირია, როცა მოსკოვის „საპრტაკს“ ძირითადი დროის ამონურვამდე რამდენიმე წუთით ადრე მასპინძელთა კარში გატანილი ბურთი არ ჩაუთვალეს (ბევრის აზრით - ნესების სრული დაცვით).

ადვილი შესაძლებელია, ანალოგიური ანდერძი კატალონიე-

გიორგი შოთაძე





ბამოსათხოვარი

# ირაკლი შორდანი

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ და, ზოგადად, ქვეყანამ დაკარგა ღირსეული მამულიშვილი, აკადემიკოსი **ირაკლი შორდანი**. იშვიათია ასეთი მრავალმხრივ შემუშავებული ადამიანი — გარეგნულ ბრწყინვალეობასთან ერთად იგი გამოირჩეოდა დიდი მიღწევებით მეცნიერებაში, ტექნიკაში, სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში და, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ადამიანებთან ურთიერთობაში.



მიუხედავად ასაკისა, მას არ დაჰკლებია ჭარმაგული იერი, ახალგაზრდული მისვრა-მოსხვრა და, რაც მთავარია, მახვილი აზრი.

სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ი.შორდანი ხდება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სადაც ეუფლება მაშინ ძალიან პოპულარულ სპეციალობას — მეტალურგიას. 1955 წელს უმაღლესი შეფასებით იცავს დიპლომს და იმ დღიდან იწყება მისი უაღრესად დატვირთული და მისგან წარმატებით ძლეული შრომითი ბიოგრაფია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც მან განვლო საქარხნო თანამდებობრივი იერარქიის ყველა დონე — მუშიდან ქარხნის დირექტორამდე.

1962 წლიდან ირაკლი შორდანი კოლეგებთან ერთად იწყებს საგლინავ აგრეგატ 400-ის ავტომატიზაციის პროექტს, რომლის შედეგად პირველად გახდა შესაძლებელი დიდი დიამეტრის თხელკედლიანი უნაკერო მილების წარმოება. 1969 წელს ეს სამუშაო აღინიშნა ლენინის პრემიით. ირაკლი შორდანი წარმატებით აგრძელებს მნიშვნელოვანი ინოვაციური ღონისძიებების დაწესებას ქარხანაში;

1976 წელს ინიშნება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1984 წელს — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ;

1988 წელს ი.შორდანის ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

2005 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრია, ხოლო 2016 წლიდან — აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი.

ჩვენ გვგვამაყვება, რომ ბატონი ირაკლი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში მუდმივად იყო დაკავშირებული ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან, სადაც ხელმძღვანელობდა უწყვეტი ჩამოსხმის სფეროში მიმდინარე პროექტებს, ხოლო ბოლო წლებში თავის უდიდეს გამოცდილებას ინსტიტუტს უზიარებდა მეცნიერ-კონსულტანტის რანგში.

ირაკლი შორდანის ცხოვრებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1990 წელი, როდესაც მან როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კომუნისტების ზეობის დროს გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი პატიოსნება, ხასიათის სიმტკიცე და საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები უხარვეზოდ ჩაატარა, რითიც დასრულდა კომუნისტური რეჟიმის არსებობა საქართველოში და გზა გაეხსნა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ირაკლი შორდანი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის წარმატებულ კარიერაში თვითონ ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ პოსტს, იმ თანამდებობას, რომელსაც ის იკავებდა. მას არ მოჰკლებია გარეუქმითაგან არც სიყვარული, არც პატივისცემა და სიკვდილის შემდეგაც მისი ნათელი სახე მუდმივად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ბრწყინვალე მეცნიერის, ინჟინრის, გულითადი მეგობრის და, რაც მთავარია, ღირსეული მოქალაქისა.

**პროფესორი გიორგი თავაძე,**  
სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმად მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს

## ირაკლი შორდანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმად მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, კეთილშობილი პიროვნების, აკადემიკოს

## ირაკლი შორდანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, სრულიად საქართველოს ამ მძიმე დანაკლისის გამო.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების წევრები ღრმად მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვანლმოსილი პიროვნება, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს სანარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დიდებული პიროვნება დააკლდა საქართველოს, გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, ბატონი

## ირაკლი შორდანი

საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი ღრმად მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ირაკლის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახის ახლობლებსა და მეგობრებს.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და გამომგონებელი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საპატენტო უწყების ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

თამაზ შილაკაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასოცირებული წევრის — ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ კოლექტივი ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში საპატენტო უწყების — „საქპატენტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაცია ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში საპატენტო უწყების — „საქპატენტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები კირა მიქელაძე, გურანდა ციციშვილი, თამილა შალიკაშვილი, ნინული ხოტივარი, ლეილა ლოსაბერიძე, ნონიკა აბზიანიძე, ნანა კანდელაკი, ნანული შახოვი, ლია ცხანავა, მანანა წერეთელი, მედიკო დევიძე, დალი შოშითაიშვილი, ნანა გადელია, ნოდარ მგალობლიშვილი, რეზო მხეიძე, თამაზ შილაკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

## ირაკლი შორდანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კიდევ ერთი დიდი ქართველი გამოგვაკვდა – აღიარებული მეცნიერი და გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე

### ირაკლი ჟორდანი

ჩვენო ირაკლი, ზეციურ სამყაროში შენი წასვლით უზომოდ დაგვამწუხრე. შენისთანა უღირსეულეს პიროვნებასთან და გულანთებულ მამულიშვილთან მეგობრობა ნეტარება იყო.

გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოესწარი ნანატრ პირველ შვილიშვილს, შენი საფიცარი თათის ვაჟს, რომელსაც მოუთმენლად და დიდი სიყვარულით ელოდი.

პატარა ირაკლი რომ წამოიზრდება, მოვიყვანო შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებო და ვუამბობო ბაბუის კეთილგონივრულ და სასახელო საქმეებზე.

გელა ლოლაძე  
ოპარ მარგველაშვილი

უახლოესი ნათესავები ჯემალ შარაშენიძე, თამაზ ჟორდანი, ფისო მხეიძე, ნატო, მაიკო ძაგნიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებინან, რომ გარდაიცვალა

### ირაკლი ჟორდანი

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ ქაშაყაშვილი მეტალურგთა საერთაშორისო კავშირის ასოციაციის, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების, საერთაშორისო სანარმოო-სამეცნიერო ჟურნალების – „ფოლადის“ და „მეტალურგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრთა სახელით ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეტალურგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, კოლეგა და ძვირფასი მეგობარი

### ირაკლი ჟორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის მეუღლეს, ქალბატონ ლალის და ქალიშვილს თათი ჟორდანიებს მზრუნველი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

ნოდარ მეძმარიაშვილი თავის ოჯახის წევრებთან ერთად ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით იუნყება, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი-მეტალურგი, საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, მომავალ თაობათა აღმზრდელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი

### ირაკლი სერგოს ძე ჟორდანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდად დამწუხრებულ ოჯახს.

### სანთელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის

### ირაკლი თოდუას

გარდაცვალების გამო და თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



### სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებული მუშაკი, წარსულში აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს მდივანი, პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოადგილე, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ჭეშმარიტი პატრიოტი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

### ვალერი შაკია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### ხსოვნა

## ზეზვა მედულაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზეზვა ნიკოლოზის ძე მედულაშვილი, რომლის სახითაც ქართულ მწერლობას, სრულიად საქართველოს ჰყავდა დიდ ეროვნულ საქმეს შეჭიდებული დიდებული ლიტერატორი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში პირველხარისხოვანი თარგმანებით ანებივრებდა დახვეწილი გემოვნების მქონე ქართველ მკითხველს და მას მსოფლიო ლიტერატურის შედეგების მადლს აზიარებდა. არაერთი უცხოური ენის ჩინებული ფლობა, აზროვნების ფართო თვალსაზიერი, მრავალმხრივი და მრავალნაზნაგოვანი ლიტერატურული ინტერესები



ზეზვა მედულაშვილს დაიხაც რომ ქართული კულტურისა და მწერლობის დესპანად აქცევდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც იგი მუდამ სასურველ და საპატიო სტუმრად მიიჩნეოდა...

ზეზვა მედულაშვილი დაიბადა 1939 წლის 20 დეკემბერს იმდროინდელი კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდაში. 1957 წელს, არაშენდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დაასრულა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზეზვა მედულაშვილი მუშაობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის ლაბორანტად და კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა არმენოლოგიურ დისციპლინებში. 1970-1973 წლებში იყო იმავე კათედრის ასპირანტი. 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემამდე საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროს მეცნიერ-რედაქტორად მუშაობდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინსვლასა და განვითარებაში...

თავად განსაჯეთ, სწორედ ზეზვა მედულაშვილის დიდი რუდუნებისა და მულაშვილის შრომის წყალობით ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნაწილად იქცა სომხური, აზერბაიჯანული, ტაჯიკური, თურქმენული, სპარსული, უზბეკური, გერმანული, რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ამით მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საქართველოს მეზობელი ხალხების მწერლობის ქართულად ამეტიყვევებას.

გრგოლ ნარეკაცი, საიათნოვა, გ.სუნდუკიანი, ო.თუმანიანი, ა.ისააკიანი, ხაბოვიანი, ვტერიანი, ეჩარენცი, ო.შირაზი, ს.კაპუტიკიანი, პ.ზეითუნიანი, პ.მათეოსიანი, რ.დავოიანი – აი, იმ სომეხ მწერალთა არასრული სია, რომლებიც ამ მშვენიერმა შემოქმედმა თარგმნა. ამ თარგმანების გვერდით ზეზვა მედულაშვილის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია აზერბაიჯანული ზღაპრების, ბაიათების, ხალხური ეპოსის „ქოროლლის“, ფიზულის, ნასიმის, ვაგიფის, სვურლუნის, ს.რუსტამის, ფ.გოჯას, ა.აილისლის, რ.რზას, მ.არაზის, ანარის, ი.ჰუსეინოვის, ი.ისმაილზადეს და აზერბაიჯანული მწერლობის სხვა ღირსეული წარმომადგენლების თარგმანებს.

ძალზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს ზეზვა მედულაშვილის მიერ ომარ ხაიამის, ჰაფეზის, საადის (სპარსეთი), საბაჰათინ ალის (თურქეთი), ფულოდ ტოლისის, სადრიდინ აინის (ტაჯიკეთი), ალიშერ ნავოის (უზბეკეთი), მახთუმყულის (თურქმენეთი), რასულ გამზათოვის (დაღესტანი), რილკეს (ავსტრია), აფხაზი ალექსი ჯონუას, ივანე პაპასქირის, ოსი ნაფი ჯუსოითის ცალკეულ ნაწარმოებთა აჟღერება ქართულად.

ზეზვა მედულაშვილის მეგობარ მწერლებს მუდამ აოცებდათ მისი შემოქმედებითი ინტერესების მასშტაბურობა, ჭეშმარიტად ღრმა პროფესიონალიზმი. ამ ღვთივკურთხეული მთარგმნელის ფრაზა მოქნილი, ცოცხალი, ლაღი და დინამიკური იყო. მისი შთაგონება ორგანულად ერწყმოდა ქართული პოეტური კულტურის თანამედროვე მიღწევებს, რაც განუმეორებელ პენსა და ლაზათს მატებდა მის ნაკალმევს.

ზეზვა მედულაშვილის მრავალწლიანი ღვაწლი დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ელიშე ჩარენცის სახელობის „კანდელის“ (სომხეთი), ნაჯაფ ნაჯაფოვის, აკადემიკოს ზაჰიდ ხალილოვის სახელობის (აზერბაიჯანი), „საბას“ და „საგურამოს“ პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, „ქართული კულტურის ამგდარისა“ და „ქართული კულტურის დესპანის“ მედლებით.

საოცარ კეთილშობილებას, სიხალისეს, გულითადობასა და სიკეთეს ასხივებდა მუდამ დიდსულოვნებითა და დიდბუნებოვნებით გამორჩეული ეს ღვაწლმოსილი მწერალი. სწორედ ასეთად დაამახსოვრებდათ ზეზვა მედულაშვილი მის მეგობარ ქართველ მწერლებს, მისი კაშკაშა შემოქმედების თავყვანისმცემლებს.

საპარტიველოს მწერალთა კავშირი

### ზეზვა მედულაშვილის დამკრძალავი კომისიისგან

ზეზვა მედულაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1,2 V, 16 სთ. განსვენებულის ბინაში (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, 36-3, II სადარბაზო, ბ. 34). დაკრძალვა 3 V სოფელ არაშენდაში.

# „ფაზისობის“ დაუვიწყარი დღე...

ფოტოში გამართულ „ფაზისობის“ დღე-სასწაულზე ქალაქის საპატიო მოქალაქეებმა, სხვათაგან ერთად, ჩვენი ცნობილი მოღვაწეები – გამოჩენილი მწერალი გურამ დოჩანაშვილი და ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი რეზო ჭანიშვილი აირჩიეს. გულითადად ვულოცავთ მათ ამ საპატიო წოდებას. გარდა ამისა, ფოტოს საკათედრო ტაძარში ჩატარდა კვირაცხოვლობისა და ტაძრის განახლების ხუთი წლისთავი, მოენყო თანამედროვე ქართული სახელმწიფო სიმბოლოების გამოფენაც.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ფოტოს აკ. ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სასწავლებლისა და თბილისის მერიის ს. ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო-ხელოვნების სკოლებს შორის. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოენყო თბილისელი ნორჩ მხატვართა გამოფენა ფოტოსა და თბილისის თემაზე. წარმოდგენილი 60 ნამუშევარი ასახავდა მათ დამოკიდებულებას ამ ორი ქალაქის

ისტორიული წარსულის, კულტურული მემკვიდრეობისა და დღევანდლობის თემებს. განსაკუთრებით აღინიშნა ნ. უტურაშვილის, არჩილ და ალექსანდრე მაისურაძეების, ნინო და საბა ვაჩიშვილების, ერეკლე და ალექსანდრე ძიძიგურების, ნ. მესხის, ვ. დიასამიძის, ა. გაბრიჭიძის, მ. ლატარიას, ელ. პაპასკირის, ელ. ნახუცრიშვილის, ნ. ჩხეტიანის, დ. ბარნაბიშვილის, შ. ჯალიაშვილის ნამუშევრები.

რა თქმა უნდა, ეს წარმატება განპირობებული იყო მათი პედაგოგების ქ. ბარნაბიშვილის, მ. კაკაბაძის, მ. ქიქელაძის, ნ. ბარნაბიშვილის, მ. კიკაჩიშვილისა და თ. რაზმაძის ძალისხმევით. გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ: ფოტოს ვიცემერი გიორგი ფარეშიშვილი, ფოტოს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის დირექტორი ნინო პაჭკორია, ფოტოს სამხატვრო სასწავლებლის მენეჯერი მაია კორკელია და სამხატვრო სკოლის დირექტორი გიული ღვანია. მასპინძლებს მადლობა გადაუხადა ს. ვირსალაძის სახ. სკოლის დირექტორმა ქეთევან ბარნაბიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ბატონი გიორგი ფარეშიშვილი ს. ვირსალაძის სახ. სკოლის ყოფილი პედაგოგია, რომლის მოკლევადიანი ვიცემერობა უკვე დაეტყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებას და რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებაც ჩატარდა. ორი ქალაქის სამხატვრო სკოლების მეგობრობა თბილისში გამართული ფოტოს ნორჩ ხელოვანთა გამოფენით და საინტერესო ინიციატივებით გაგრძელდება.

გურამ მებრეშიძე, ფოთი



საქართველოს რესპუბლიკა  
SAKARTVELOS  
REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ძოგულია  
293-13-34  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;

ალექო  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქიძე  
514 33-33-24

გამომცემელი:  
შპს „თანადგომა“-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„ქოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)  
ს-323




ავტორთა  
საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შუქავითავი მასალა  
დაიბეჭდება ავტორ-  
თა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებ-  
ები, შესაძლოა, მუდამ  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აგებენ  
ავტორები.

„საქართველოს  
რესპუბლიკა“  
შენი გაზეთია,  
აუსილვლად  
გამოიწერა,  
იყიდა,  
წაიკითხე!

## მთავარია რეპულარული ვარჯიში!

ბოლო წლებში ახალგაზრდების ერთი ნაწილი სპორტის ახალმა, ეგზოტიკურმა სახეობებმა გაიტაცა, თუმცა კი ხშირად ისეც ხდება, რომ ფიზიკურად არასაკმარისად მომზადებულებს სერხემლის მალეობის აცდენა, სერხემლის არხის ნერვული დაბოლოებების შემზოჭავი თიქარი ემართებათ, რასაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება.



რისკის ზონაში ხვდებიან ისინი, ვინც სერხემალსა და სახსრებზე დიდი დატვირთვის გამოქვეყნებულ სპორტის სახეობებს, მათ შორის აღმოსავლურ ორთაბრძოლებს, კრიკს, სირბილს, ფეხბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს, სამთო თხილამურებს, ცხენოსნობას, ასევე ლათინო-ამერიკულ ცეკვებს მისდევს.

ამიტომ საჭიროა გაითვალისწინოთ, რომ არასწორია: არარეგულარული სპორტული ვარჯიში; ვარჯიშების, მათი ინტენსივობისა და მოძრაობათა ამპლიტუდის შერჩევა საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად.

სწორია: ფიზიკური დატვირთვის თანაბრად განაწილება, სპორტის არჩეული სახეობის რეგულარულად მიყოლა გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით; თუკი სერხემალთან დაკავშირებით პრობლემები არსებობს, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია; არ შეიძლება ვარჯიში ტკივილის დაძლევის მიზნით.

## უკეთ რომ ვხედავდით

აღმოსავლური მედიცინის თანახმად, ადამიანის ყველა ორგანო ხუთიდან ერთ გარკვეულ ელემენტს შეესაბამება – ესენია ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი.



მათ შორის თვალის ელემენტია ხე, ფერი კი მწვანე. ამიტომაცაა, რომ მწვანე ფერი თვალზე კარგად მოქმედებს. ამიტომაც სასურველია, რომ კომპიუტერის გვერდით მწვანე ფერის რაიმე საგანი იქონიოდეს. სასურველია, დროდადრო მუშაობის შეწყვეტა და ყოველ საათში წუთით მაინც მისი ცქერა.

თვალისთვის განსაკუთრებით სასარგებლო სურსათია სტაფილო (ბეტა-კაროტინი მხედველობას ამხვილებს); ისპანახი (ლუთეინი ხელს უშლის კატარაქტის წარმოშობას); კვერცხი (გოგირდი, ლუთეინი, ცისტეინი და ამინომჟავები ასევე კატარაქტისგან იცავს მათ); შავი შოკოლადი (ფლავონოიდები აუმჯობესებენ სისხლძარღვებისა და თვალის კვებას; ნუში (A და E ვიტამინები მხედველობას აუმჯობესებს და ფსიქიკურ დაძაბულობას ხსნის).

## განსაცინებელი ა(მ)ბები

### ბედნიერი ღრო

ქორწინებიდან ხუთი წელი გავიდა.

– გახსოვს, ძვირფასო, ის საღამო პირველად რომ გავიცანი?

– რასაკვირველია.  
– მთელი საათი ხმა არ ამოგიღია, ისე ვისხედით. მღელვარებისგან ენას ვერ სძრავდი.  
– მასხოვს, როგორ არა...  
– ის ყველაზე ბედნიერი საათი იყო ჩემს ცხოვრებაში.

### სანაძლეო

– თუ გინდა სანაძლეოს დაგიღებ, სვალადან აღარ ვენწევი.  
– გეთანხმები, რაზე დაგნაძლევედით?  
– როგორ თუ რაზე? ნახევარ ლიტრაზე...

### ცოლ-ქმარი

ღამის ორი საათია. ცოლი აღვიძებს ქმარს.  
– ახალ კაბას ხომ მიყიდი?

– გიყიდი, აბა, რა...  
– ახალ პალტოს?  
– პალტოსაც...  
– რა კარგია, რა კარგი!  
– სულ ტყუილად გიხარია...  
– რატომ?  
– იმიტომ, რომ ყველაფერს სიზმარში გელაპარაკები.

### რას აკეთებს სვანი

– არ იცი, ახლა რას აკეთებს სვანი?  
– თუ ყინული ისე მაგარია, როგორც ის ფიქრობს, მაშინ ციგურებით დასრიალებს, სოლო თუ ყინული ისეთი თხელია, როგორც მე ვფიქრობ, მაშინ ცურავს.

### ჯვრისწერა

– როგორ მოახერხე გიორგისთან ხელმოწერა? ეგ ხომ სიტყვაძვირი ვინმეა. სიტყვას ვერ ათქმევინებ.  
– მართალი ხარ, ეგ დუმდა, მეც ვდუმდი და მოვილაპარაკეთ.



	<b>რედაქციის მისამართი:</b>
	აშუ ფონური - 2.4617; პირი - 2.9762;
	ბრიტანული მიმართება სტრუქტურა - 3.3932;
	100 რუბლი - 3.9379; თურქული ლირა - 0.6077;
	ახარბაიჯანული მანათი - 1.4455;
	1000 სომხური დრამი - 5.0967.

<b>აპრილი 1 მაისისთვის</b>			
აღმოსავლური საქართველო:			
ბარა -	ღამ	+9,	ღამ +25
მთიანი რაიონები -	ღამ	+2,	ღამ +25
დასავლური საქართველო:			
ბარა -	ღამ	+13,	ღამ +33
მთიანი რაიონები -	ღამ	+10,	ღამ +30
თბილისი:	ღამ	+12,	ღამ +23

**დაპირიკაპით, მოგვწერეთ:**  
ტელ: 293-13-34,  
599-79-76-79  
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge